25/02/2026

MES 9 26 0000218438

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის" დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსი:
ნიკოლოზ ჩხარტიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა:
თინათინ მელანიშვილი - სკოლის დირექტორი

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი:
მარიამ ხიდეშელი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა:
თეა კალანდაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლა:
ნინო ბახტურიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსი:
ა) გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ კავლელიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი:
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინა ძულიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლა:

ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 11 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის №1 საჯარო სკოლის საკითხთან დაკავშირებით იყო დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლის საჭიროება და საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის გადადება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3.შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 11 თებერვალი.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

1.შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 18 და 19 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ და რუსულ ენებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 24 ნოემბრის N1533156 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 470 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 439.
ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის პროცესში მიღებულ რეკომენდაციებთან მიმართებით, სკოლამ გადადგა რიგი ქმედითი ნაბიჯები. კერძოდ, 3.1.3 კრიტერიუმთან მიმართებით, სადაც სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფორმაციულ მხარდაჭერაზე იყო საუბარი, სკოლამ დანერგა მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის საჩივრის განხილვის სისტემა. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით, სკოლაში მიმდინარეობდა მუშაობა მოსწავლეთა სწორი ქცევითი ჩვეულების განვითარებასა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო სკოლის დირექტორი, ფსიქოლოგი, დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები. სკოლის მანდატურის ჩართულობით მოქმედებდა რეფერირების წესი.

ექსპერტის თქმით, ინტერვიუს დროს მშობლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სკოლა მათთვის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს წარმოადგენდა. მთლიანად სკოლა და განსაკუთრებით დამრიგებლები მხარდაჭერას გამოხატავდნენ მოსწავლეთა მიმართ. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პოზიტიური განწყობით მიდიან სკოლაში.
ექსპერტის, გიორგი მომცელიძის, განმარტებით, შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა 4.1.1.1. ინდიკატორს. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები გაეცნენ სხვადასხვა დოკუმენტს, ჩაატარეს ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან და დაადგინეს, რომ სკოლა შიდა რეგულაციების მეშვეობით უზრუნველყოფდა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავდა სკოლის ცხოვრების მარეგულირებელ ძირითად ნორმებს, მათ შორის: ზოგად დებულებებს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, მოსწავლეთა წახალისების წესს, დისციპლინური დევნისა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური სახდელების დაკისრების წესს, მოსწავლის მატერიალურ პასუხიმგებლობას, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზების მარეგულირებელ ნორმებს. ექსპერტის თქმით, მოსწავლისა და მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები დეტალურად იყო გაწერილი სკოლისა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. დოკუმენტით განსაზღვრული იყო ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული იყო განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. ამასთან, 2024 წლის 9 დეკემბერის ბრძანებით დამტკიცებული იყო დისციპლინური კომიტეტის დებულება.
ექსპერტის, გიორგი მომცელიძის, განცხადებით, სკოლის მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს კომპიუტერული ლაბორატორიის მეორე სართულიდან პირველ სართულზე გადმოტანასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო სამუშაოები.
სკოლის დირექტორმა, ნიკოლოზ ჩხარტიშვილმა, აღნიშნა, რომ პროცესი დაწყებული იყო და მარტის ბოლოს კომპიუტერული ლაბორატორია პირველ სართულზე იქნებოდა განთავსებული.
საბჭოს თავჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიმართ გაიცა რჩევა, კერძოდ, სასურველი იყო მასწავლებელთა შერჩევისთვის სკოლას ჰქონოდა წინასწარ გაწერილი კრიტერიუმები და გასაუბრების შედეგები მტკიცებულების სახით და დაინტერესდა გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ აღნიშნული რჩევა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცვლილება განხორციელდა სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში და განისაზღვრა კრიტერიუმები გასაუბრების სწორად წარმართვისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:43

დასრულების დრო: 14:47

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის (ს/კ: 406243514) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 11 თებერვალი.

2.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N1608626 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 200 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 138.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების

შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის, ქეთევან ბაცანკალაშვილის განცხადებით, სკოლის მიმართ გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2023 წელს და სკოლის მიმართ ექსპერტთა მიერ გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია მონიტორინგის ვიზიტისას სრულფასოვნად იყო შესრულებული.
ექსპერტის თქმით, მონიტორინგის ვიზიტისას დამატებით რეკომენდაციები გაცემული იყო მე-3 სტანდარტთან მიმართებით, რაც გამოიწვია სკოლის ეზოსა და შენობის შესასვლელში არასაკმარისი ვიდეოკამერების რაოდენობამ. სკოლამ გაიზიარა მიღებული რეკომენდაცია და გაწერა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების დამატების საკითხი, რომლის განხორციელება სკოლის განცხადებით 19.06.2026 პერიოდისთვის დაიგეგმა. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის უსაფრთხოებასთან და მდგრადობასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია სტანდარტების შესაბამისად იყო მოწყობილი. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით მიღებული რეკომენდაციის გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორმა, თინათინ მელანაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას მიღებული ჰქონდა კორესპონდენცია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მონტაჟის ვალდებულებებზე, სადაც მითითებული იყო, რომ დამონტაჟების შემდგომ უნდა გამოეძახებინათ 112 და შეემოწმებინათ სისტემის შესაბამისობა. მისი თქმით, აღნიშნული მოთხოვნები გადაგზავნილი ჰქონდათ იმ პირთან, ვისაც უნდა განეხორციელებინა მონტაჟი და უახლოეს პერიოდში აღმოიფხვრებოდა აღნიშნული პრობლემა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:03
დასრულების დრო: 15:07

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის (ს/კ: 218047307) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 11 თებერვალი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში სკოლის ეზოს გვერდითი მონაკვეთის, გარე სტადიონის და კიბის უჯრედების გაკონტროლების მიზნით ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონტაჟის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3.შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11 და 12 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 ივლისის N787504 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 180 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 178.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლის ეზოში იყო რეკრეაციული ზონა და მოწყობილი იყო კეთილმოწყობილი გარემო. საკლასო ოთახები, ექსპერტის შეფასებით, არასტანდარტული იყო.
ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 ივლისის N787504 გადაწყვეტილებით. 2024 წლის ივლისში სკოლაში განხორციელდა არაგეგმიური

მონიტორინგი ცენტრში წარმოდგენილი მოქალაქის განცხადების საფუძველზე. 2025 წლის გეგმიური მონიტორინგი კი განსაზღვრული იყო 2022 წლის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით.
ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, სკოლის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედანი სკოლის საკუთრება იყო თუ სახელმწიფოს საკუთრება. ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, აღნიშნა, რომ სპორტული მოედანი იყო სკოლის საკუთრებაში.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, სკოლისა და ბაღის შენობები გამიჯნული იყო თუ არა ერთმანეთისგან.
ექსპერტ მამუკა ხამხაძის თქმით, სკოლისა და ბაღის შენობის ფლიგელები გამიჯნული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:26

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის (ს/კ: 212274867) მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 11 თებერვალი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის დეკემბერში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4.სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი მშობლის წერილის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მისი შვილები იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები, რომელთა ძირითადი სირთულე გადაადგილება იყო. ისინი სარგებლობდნენ ეტლითა და სხვადასხვა დამხმარე საშუალებით. ასევე, აღენიშნებოდათ მსხვილი და ნატიფი მოტორიკის სირთულეები, რის გამოც საჭიროებდნენ მუდმივ ადამიანურ მხარდაჭერას. ამასთან, მშობლის განმარტებით, ბავშვებს ჰქონდათ მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები და აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ექსპერტის განმარტებით, მშობელი წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ სკოლა შეარჩია იმის გამო, რომ ის ახალაშენებული და ნაწილობრივ ადაპტირებული იყო. თუმცა, ოთხი წლის განმავლობაში სკოლაში არ ფუნქციონირებდა ლიფტი, რის გამოც მოსწავლეებს არ ჰქონდათ სპორტის გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობა, რადგან სპორტის დარბაზი მესამე სართულზე იყო განთავსებული, ხოლო მათი საკლასო ოთახი - პირველ სართულზე. აღნიშნული გარემოება ბავშვებისთვის ემოციურად დამთრგუნველი იყო. მშობლის განმარტებით, პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მან საკითხი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის წინაშე დააყენა. მშობელი ასევე მიუთითებდა სკოლის დირექტორისა და კლასის დამრიგებლის გულგრილ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე, რომლებიც აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად სათანადო ნაბიჯებს არ დგამდნენ. მისი თქმით, თავად მოუწია სველი

წერტილების ადაპტირება საკუთარი ფინანსური რესურსებით, მათ შორის ნიჟარის, უნიტაზისა და დამხმარე საშუალებების შეძენა და დღემდე თავად უზრუნველყოფდა სველი წერტილების სისუფთავეს. მისივე განცხადებით, ბავშვებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით უნდა ჰყოლოდათ თითო ასისტენტი, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ ჰყავდათ მხოლოდ ერთი ასისტენტი, ხოლო მეორე ბავშვს დახმარებას უწევდა ძიძა, რომლის მომსახურების საფასურს მშობელი საკუთარი სახსრებით ფარავდა. მისივე განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ჩართულობის შედეგად, მეხუთე წელს მეორე ასისტენტი ოფიციალურად გაფორმდა. გარდა ამისა, მშობელი აღნიშნავდა, რომ სკოლას არ გააჩნდა სათანადო პარკინგი, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა მისი და ბავშვების გადაადგილებას. მისი თქმით, სკოლა ეზოში შესვლის უფლებას არ აძლევდა, ხოლო არსებული პარკინგი მუდმივად გადატვირთული იყო. ბავშვების უკეთ ჩართულობის მიზნით, მშობელმა საკუთარი სახსრებით შეიძინა ადაპტირებული სკამები და თეთრი დაფა, თუმცა პედაგოგების ნაწილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას აღნიშნული დაფის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლაში არ იყვნენ დასაქმებული დამლაგებლები, არ ფუნქციონირებდა ბუფეტი, ხოლო სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას არ ჰყავდა გეოგრაფიისა და ფიზიკის მასწავლებლები. კორესპონდენციის მთავარი საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ მშობელმა თავად მოიძია ბავშვებისთვის საჭირო ადაპტირებული „კლავიატურა“ და „მაუსი“, რაც მათ საშინაო დავალებების უფრო ეფექტიანად შესრულებაში დაეხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოწყობილობები განათლების სამინისტროს მიერ დაფინანსდა, სკოლამ უარი განაცხადა მათი ბავშვებისთვის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ ინვენტარი ეკუთვნოდა სკოლას და შესაძლებელი იყო სხვა მოსწავლეებსაც გამოეყენებინათ. მშობლის განმარტებით, აღნიშნული ინვენტარი მისი პირადი ჩართულობისა და ინიციატივის შედეგად იქნა შეძენილი და სხვა სკოლებში მსგავსი პრაქტიკა პრობლემის გარეშე ხორციელდებოდა. მშობელი აღნიშნავდა, რომ ბავშვებს არ სურდათ თანაკლასელებთან დაშორება ან სკოლიდან გადასვლა. ასევე, მშობელს თავადაც არ სურდა სკოლის დატოვება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მან მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თხოვნით, უზრუნველეყო სიტუაციის შესწავლა და აღმოეფხვრა სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის პოზიციის შესახებ და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი ახალ შენობაში 2018 წლის 7 ნოემბერს განახლდა. არსებული ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, ლიფტის დროებითი უმოქმედობის პერიოდში ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო პირველ სართულზე განთავსებული საკლასო სივრცეებით, ხოლო შემდგომში ლიფტი ამოქმედდა ტექნიკური ინსპექტირების შედეგად.
ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილი იყო ადაპტირებული გარემო, მათ შორის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა, ადაპტირებული საპირფარეშოები ყველა სართულზე და სასწავლო პროცესის ორგანიზების მოქნილი ფორმები. სკოლა სისტემატურად უზრუნველყოფდა ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას. ასევე, სკოლას გააჩნდა შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსი, ჰიგიენური და დასასუფთავებელი საშუალებების უზრუნველსაყოფად, ხოლო ადმინისტრაციასთან საპირფარეშოების დაზიანების შესახებ ინფორმაცია არ დაფიქსირებულა. სსსმ მოსწავლეებისთვის მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე, განსაზღვრული იყო შესაბამისი მხარდაჭერის სერვისები, ამასთან, გარკვეული სერვისების გამოყენებაზე მშობლის მხრიდან დაფიქსირებული იყო უარი, რაც ასახული იყო დოკუმენტაციაში. სკოლის ადმინისტრაცია

მიიჩნევდა, რომ განცხადებაში წარმოდგენილი შეფასებები არ დასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოებებით და ეფუძნებოდა სუბიექტურ აღქმებს. სკოლა აგრძელებდა მუშაობას ინკლუზიური და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ ლიფტის გაუმართაობის პერიოდში მიიღო შუალედური ორგანიზაციული გადაწყვეტილებები, კერძოდ:
• ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთა საკლასო ოთახები განათავსა პირველ სართულზე;
• ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს ლიფტის ამოქმედებამდე ატარებდა პირველ სართულზე;
• არაერთხელ მიმართა შესაბამის უწყებებს ლიფტის ამუშავების მოთხოვნით.
ადაპტირებულ საპირფარეშოსთან დაკავშირებით კი, სკოლის მიერ წარმოდგენილი განმარტებებით ირკვევა, რომ:
• ადაპტირებული საპირფარეშოები სკოლაში თავიდანვე იყო მოწყობილი და შეესაბამებოდა მოქმედ სტანდარტებს;
• აღნიშნული სივრცეები იყო საერთო სარგებლობის;
• მშობლის მიერ საპირფარეშოზე საკეტის თვითნებურად დამონტაჟებამ და შეზღუდულმა ხელმისაწვდომობამ გამოიწვია ტექნიკური რისკები, მათ შორის სკოლის დატბორვა.
ჰიგიენური პირობებისა და დასუფთავებასთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური და შესყიდვების დოკუმენტაცია ადასტურებდა, რომ:
• სკოლას ყოველწლიურად გამოყოფილი ჰქონდა ფინანსური რესურსი ჰიგიენური და დასასუფთავებელი საშუალებების შესაძენად;
• სკოლაში დასაქმებული იყო დამლაგებელი პერსონალი და ტექნიკური თანამშრომლები;
• სკოლის ადმინისტრაციაში არ დაფიქსირებულა მშობლის მხრიდან ოფიციალური შეტყობინება ინფრასტრუქტურული დაზიანებების შესახებ.
პარკინგსა და გადაადგილებასთან დაკავშირებით სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი იყო შშმ პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილი.
გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უსაფრთხოების ზომების დაცვით, ავტომობილით სკოლის ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელი იყო.
•აღნიშნულ პროცესს აკონტროლებდნენ სკოლის თანამშრომლები.
ასისტენტისა და სპეციალური პედაგოგის მომსახურებასთან დაკავშირებით დადგინდა, რომ:
• მოსწავლეებისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრული იყო ასისტენტის და სპეციალური პედაგოგის საჭიროება;
• მეორე ასისტენტი (ბავშვების ძიძა) დასაქმდა კონკურსის წესით, კანონმდებლობის სრული დაცვით;
• მშობლის მოთხოვნით, გარკვეულ პერიოდში შეზღუდული იყო ასისტენტის და სპეციალური პედაგოგის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.
პედაგოგიურ პერსონალსა და საგაკვეთილო პროცესთან მიმართებით სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და ექსპერტთა მიერ განხორციელებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ:
• მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდა ღია კონკურსის წესით, შესაბამისი საკონკურსო პროცედურების დაცვით;
• ყველა პედაგოგი სასწავლო წლის დაწყებისთანავე შეუდგა პროფესიული მოვალეობების შესრულებას;
• კლასის დამრიგებლის მიმართ მანამდე ოფიციალური პრეტენზიები არ დაფიქსირებულა;
• გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ კლასის დამრიგებელი ავლენდა მზრუნველ და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას მოსწავლეების მიმართ და აქტიურად იყო ჩართული მათი მხარდაჭერის პროცესში.
რაც შეეხებოდა ადაპტირებულ ტექნიკას, სკოლის განმარტებით:
• ტექნიკა შეძენილი იყო სკოლის მიერ და აღრიცხული იყო სკოლის ბალანსზე;
• მისი გამოყენება გათვალისწინებული იყო სასწავლო პროცესის ფარგლებში;

• სკოლამ მიიღო იურიდიული კონსულტაცია და მოამზადა მიღება-ჩაბარების აქტი დროებითი სარგებლობისთვის;
• მშობელმა უარი განაცხადა ტექნიკის მიღებაზე.
ექსპერტმა ისაუბრა ვიზიტის საბოლოო შედეგებზე და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, გამოვლენილი პრობლემების უმეტესობა დაკავშირებული იყო არა ინფრასტრუქტურულ ან ორგანიზაციულ საკითხებთან, არამედ სკოლასა და მშობელს შორის სისტემური და ეფექტური კომუნიკაციის ნაკლებობასთან. ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლა წლების განმავლობაში ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძიებას შშმ და სსსმ მოსწავლეების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
სკოლის დირექტორმა, თეა კალანდაძემ, დაადასტურა, რომ სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობდა მშობელთან და აწვდიდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მისი თქმით, მშობელთან და ასისტენტებთან სკოლას ჰქონდა მუდმივი კომუნიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლისმონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:48
დასრულების დრო: 15:54

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის(ს/კ: 202055587) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 11 თებერვალი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 15:58 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე